წელიწადი მე-2

კვირა, 16 ოქტომბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან ... ფასი: ... ტი ტექსტის წინ 80 კ. ... გლოვიანი განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ... 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლებში.

№ 462 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 462

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვრივი ფატმან მაზარბეგის ასული—შვილები: ექიმი სავლე ნიკოლოზის ძე და ლეონინა დევდარიანისა, სიძეები პოლიკარპე ფირანის ძე დევდარიანი, პროკოფი ანტონის ძე ქვანია და სვიმონ დავითის ძე კურცხალია, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს პირველი უსაყვარლესის მეუღლისა, მეორენი უძვირფასესის მამისა ხოლო დანარჩენი დაუვიწყარის სიმამრისა

**ნიკო (ნიკოლოზ) სვიმონის ძე წერეთლის,**

გარდაცვალებას. გამოსვენება იქნება 18 ოქტომბერს, დღით სამშაბათს დილის 10 საათზე სოფელ პერევისაში.

---

სამშაბათს, 18 ოქტომბერს, ქვალონის ეკლესიაში გარდახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი პოდპოლკოვნიკის

**ბიქტორ ივანეს ძე ხოჭოლავას**

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავებსა და მეგობრებს განსვენებულის მეუღლე ნინო მამუკას ასული და ჭირისუფლები.

---

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ისიდორე ივანეს ძე ბექანეიშვილი, შვილი ალექსანდრე მეუღლითურთ, ასულნი: ქვრივი ვასასი ზედგინიძისა და ანნა კაპრაშვილისა მეუღლითურთ, და შვილიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი უსაყვარლესი მეუღლისას, მეორენი დედისას, მესამე სიდედრისას და დანარჩენი ბებიას

**ვარდო მერაბის ასულის ბექანიშვილისას,**

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია კვირას 16 ოქტომბერს ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე საფირჩხიის სასაფლაოზე; პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე; კერძო წერილები არ დარიგდება არქიელის გორა, ზედგინიძის სახლი.

---

## გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია

პატივისცემით მოაგონებს თავის წლიურ ხელის მომწერლებს დააჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა.

---

## განცხადება.

1 ოქტომბრიდან — გაიხსნა — ჭრა-კერვის კურსები კატო ალიხანაშვილისა.

კურსი არის ერთ წლიანი, მოსწავლე ქალები ერთი წლის შემდეგ მიიღებენ შესაფერ ატესტატს სახელმწიფო უფლებით. მსურველთ შეუძლიათ პირობების გაგება და ჩაწერვა დადიანის ქუჩაზე, პატარიძის სახლში ალიხანაშვილთან.

---

**დაიბეჭდა** გ. დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი: „მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო“ პირველი ნაწილი **ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა.** გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა. ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა“ და ბ. კ. ყიფიანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე. 10—3

---

ქუთაისის **პირველი** უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის ინსტრუქტორი ამით აცხადებს, რომ სასწავლებელთან არსებულ

## პედაგოგიურს კურსებზე,

ამ მიმდინარე სამოსწავლო წელს, მიღებული იქნებიან აგრეთვე **ქალებიც,** რომლებსაც გაუთავებიათ არა ნაკლებ ოთხი კლასისა. ვინც ამ კურსებს დაასრულებს მიეცემათ **მოწმობა** სახალხო სკოლების მასწავლებლობისა. კურსები ორ წლიანია. მეორე კურსზე მსმენელებს მიეცემათ სტიპენდია. მსმენელებმა თხოვნები და საჭირო საბუთები თვითონ უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე, სასწავლებლის კანცელარიაში დილის 9 საათიდან—ნაშუადღევის 2 საათზე.

---

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

შაბათიდან, 15 ოქტომბრიდან

მხოლოდ ორი დღის განმავლობაში საუცხოვო პროგრამა

მიმდინარე ამბები **პ ა ტ ე ჟ უ რ ნ ა ლ ი** მიმდინარე ამბები

**ბ ნ ე ლ ე თ ი ს შ ვ ი ლ ი**

კინო-პოემა 5 ნაწილად რადინისა, ტურჟანსკისა და ჩერნოვას მონაწილეობით.

**ა ნ ო ნ ს ი:** ორშაბათიდან, 17 ოქტომბრიდან ახალი პროგრამა

**„ე ვ ა ს ი ს“ ქ ა ლ ი**

ა. პუშკინის ცნობილი მოთხრობის კინო-ილიუსტრაცია 6 ნაწილად მოზჟუხინისა, პანოვისა და სხვათა მონაწილეობით.

---

## ელექტრო „ამპირ“ თეატრი

შაბათიდან, 15 ოქტომბრიდან

მხოლოდ ორი დღის განმავლობაში ჩინებული ახალი პროგრამა

**ვ ა რ შ ა ვ ი ს შ ა რ ა გ ზ ა ზ ე**

(მიკიტანის ქალი) ვარშავის აპაშების (ქალაქის უჩინართა) ცხოვრებიდან. ვალევსკაისა და ჩაპელსკის მონაწილეობით.

სახუმარო **ბ ა ნ კ ი რ ი ს ც ო ლ ი** სახუმარო

**ა ნ ო ნ ს ი:** ორშაბათიდან, 17 ოქტომბრიდან ახალი პროგრამა

**სიყვარულის ქარიშხალი**

დრამა 4 ნაწილად, კარალლისა, კოლონსკისა და პერესტიანის მონაწილეობით.

**ბ ე დ ი ს გ ა უ ღ ი მ ა**

კომედია 2 ნაწილად, მსოფლიოდ ცნობილ მაქს ლინდერის სცენარიით და ავტორის მონაწილეობით

---

## ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 9.

კ ვ ი რ ა, 8 ო ქ ტ ო მ ბ ე რ ი 1916 წ.

**ბ ე რ ნ ა რ დ შ ო უ**

## ცარცაროზის მოწაფე

### ანუ მეამბოხე

5 მოქმ. თარგმ. მ. მარჯანიშვილისა

მონაწილენი: ქ-ნი ბექანიშვილი ს., მდივანი მ., ლოლობერიძე ო., ჩხეიძე ან., ბ-ნი გელოვანი მ., გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი, თანაშ. ა. გუგუშვილი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მორიგე წევრი გამგეობისა პ. უზნაძე

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე

**მოქმედების დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.**

---

## დავკარგე

14 ოქტომბერს, ნაშუაღამევის 2 საათზე მატარებლით მიმავალმა

**ყვირილაში კალათი გოკლომით დაკეტილი, რომელშიაც იყო მანქანის სხვადასხვა ნაწილები**

მპოვნელს ვთხოვთ დაგვიბრუნოს მხოლოდ მანქანის ნაწილები. დანარჩენი ნივთები მას ჰქონდეს და აგრეთვე

**მიიღოს ჯილდოთ ხუთი თუმანი (50 მანეთი)**

**ა დ რ ე ს ი:** ყვირილაში ლასო ნიორაძეს ან ჭიათურაში ვიქტორ ბაქრაძეს და დარისპან ლულუნაშვილს

---

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### ალმოსავლეთის ასპარეზი

**პეტროგრადი.** 14 ოქტომბერი. უმაღლესი მთავრსარდლის შტაბისაგან. რიგის სამხრეთით გერმანელთა მცირე ძალებმა იერიში მოიტანეს ჩვენ პოზიციებზე მაგრამ მოვიგერიეთ. მდ. შარას დასავლეთის ნაპირზე სოფ. გოლდოვიჩის მიდამოებში მოწინააღმდეგის ერთმა ბატალიონმა საარტილერიო მომზადების შემდეგ, ჩვენს მოწინავე ჯარზე იერიში მოიტანა და აიძულეს აღმოსავლეთის ნაპირზე გადმოსულიყვნენ. ტყიან კარპატებში რაფაილოვის სამხრეთით და ვორონხტის დასავლეთით მტრის შემოტევა შევაჩერეთ.

### კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 14 ოქტომბერი. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისგან ოსმალთა მცირე ძალები შარაპ ხონისაკენ (ზირიათიდან 10 ვერსით სამხრეთითაა) შემოტევა იწყეს, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. საკურის მიმართულებით ოსმალებს ქარავნის ერთი ნაწილი წავართვით.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 13 ოქტომბერი. საღამოს ოფიციალი სომმას ჩრდილოეთით ბუშავენის სამხრეთით ბუალფის ფერმაზე მტერმა მოიტანა იერიში რომელიც ადვილად მოვიგერიეთ საი საინველის მიდამოებში და აგრედვე სომმას სამხრეთით ბერმონდოვილერ შონის ნაწილში მკაცრი საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ვერდენის ბრძოლის პირზე გერმანელებმა 4 ჯერ მოიტანეს იერიშები ყველა იერიშები მოვიგერიეთ. მოერიშე მტერს დიდი სროლა ავუტეხეთ და უკუ ვაქციეთ, მტერი დიდად დაზარალდა წინა დღით დაპყრობილი პოზიცები შევინარჩუნეთ.

როგორც ირკვევა აქამდე სულ 5000 კაცი დაგვიტყვევებია ამას გარდა ხელში ჩაგვივარდა რამდენიმე ასი დაჭრილი გერმანელი დანარჩენ ასპარეზზე დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

**ჰავრი.** 13 ოქტომბერი. ბელგიის ოფიციალი. იზერზე საევრსტო სვეტის № 16 ის მიმართულებით ჩვენმა სასანგრო არტილერიამ გერმანელთა პოზიციები დააზიანა, გერმანელების სროლამ ხელი ვერ შეგვიშალა

**ლონდონი.** 13 ოქტომბერი ბრიტანიის მთავარ ბანაკის ცნობა საფრანგეთიდან. წინასწარ საარტილერიო მომზადების შემდეგ გერმანელებმა იერიში მოიტანეს სტუფის სანგრებზე, მაგრამ დიდათ დაზარალებული მტერი უკუ ვაქციეთ. ჩვენი ზარბაზნების მარჯვე სროლის წყალობით 42 კაცი დავატყვევეთ. ანკრის სამხრეთით და ლოსსი ფაკვილუსის მიდამოებში, მიუხედავათ უამინდობისა ინგლისელი მფრინავები მარჯვედ მოქმედებდნენ. სამი ჩვენი საფრენი გუშინ აღარ დაბრუნებულა.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი** 14 ოქტომბერი. იტალიის მთავარი ბინის ოფიც. გოიტეს ველზე მონტელაგაზუსის მიდამოებში და აგრეთვე გორიცის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლა მოხდა. რამდენიმე ყუმბარა თვით გორიცაში დაეცა და რამდენიმე კაცი მოკლა.

### რუმინიის ასპარეზი.

**პეტროგრადი** 14 ოქტომბერი. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან. ტრანსილვანიის ბრძოლის პირი. მოლდავიის დაასავლეთის საზღვარზე რუმინელებმა მტერს შეუტიეს და ოკნის ჩრდილო-დასავლეთით 16 ვერსის სიშორეზე მდებარე სოფ. ბოიანი და ოკნის სამხრეთ დასავლეთით 18 ვერსის სიშორეზე მდებარე პიატრა როტკული დაიპყრეთ ვალახიის ჩრდილოეთ საზღვარზე რუმინელებმა მოწინააღმდეგის წინსვლა შეაჩერეს და თავის პოზიციებზე მაგრდებიან; მდ ჟიუს ორთავ სანაპიროებზე მკაცრი ბრძოლები გრძელდება. დობრუჯაში მოწინააღმდეგეს მთელ ბრძოლის პირზე კვლავ იერიშები მოაქვს. ჩვენი და რუმინელების ჯარი ბრძოლით გირსოვო (გერშოვო) კაცაპკუინის ხაზს გადმოსცილდა.

### მაკედონიის ასპარეზი.

**პარიზი.** 13 ოქტომბერი სტარკორობის ქედის ჩრდილოეთით სერბიელებმა ბულგარელებს და გერმანელებს უკან დაახევინეს და წრნა-სტრაშიცას შესართავთან გამაგრებული სიმაღლე დაიპყრეს. პრესბის ტბის სამხრეთ დასავლეთით ფრან-

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** რიგის ახლოს რუსებმა გერმანელების იერიში მოიგერიეს. მდ. შარას დასავლეთის ნაპირზე მდგომ რუსის ჯარს გერმანელებმა საარტილერიო მომზადების შემდეგ შეუტიეს და აღმოსავლეთის ნაპირზე გადმორეკეს. ტყიან კარპატებში რაფაილკასთან და ვოსოხტისთან რუსებმა ავსტრიელების შემოტევა შეაჩერეს.

**კავკასიის ასპარეზი.** შარაჰაანასთან რუსებმა ოსმალები მოიგერიეს.

**დასავლეთის ასპარეზი.** ვერდენთან ფრანგებმა გერმანელთა 4 ძლიერი იერიში მოიგერიეს და გერმანელები დააზარალეს.

დანარჩენ ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლა და მცირე შეტაკებანი ხდება. ინგლისის მფრინავები მარჯვეთ მოქმედებდნენ; მათ დაჰკარგეს 3 საფრენი.

**იტალიის ასპარეზი.** უმნიშვნელო ბრძოლაა.

**რუმინიის ასპარეზი.** ჩრდილოეთით ავსტრიელთა წინსვლა შეჩერებულ იქნა. დობრუჯაში ბულგარელები წინსვლას განაგრძობენ. რუსები და რუმინელები ბრძოლით გირსოვო-კატაპკაუნის ხაზზე გადმოვიდნენ.

**მაკედონიის ასპარეზი.** სერბიელებმა ოდნავ წინ წაიწიეს. ცენტრში მცირე შეტაკებები ხდება.

**ზღვაზე.** გერმანულმა წყალქვეშამ ინგლისის გემი „გლიანისტა“ ნაღმით ჩასძირა.

გებმა 11 ოქტომბერს სოფ. გოლებრიდთან და პლაზიცასთან ხიდები დაიპყრეს დანარჩენ ასპარეზზე ბურუსის გამო არაფერი მომხდარა.

### ზ ღ ვ ა ზ ე.

**ლონდონი.** 13 ოქტომბერი. საამირბარო იუწყება: ნაღმების ამომკრები „გლინისტა“ გერმანულ წყალქვეშას ნაღმით ჩაუძირავს. ზედ მყოფნი დაღუპულან. გადაარჩინეს მხოლოდ 12 კაცი გემს უკანასკნელ წუთამდის სროლა არ შეუწყვეტია.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ლარისაში კვლავ იყრის თავს მეფე კონსტანტინეს ერთგული ჯარი. ამას მთავრობა იმით ხსნის, ვითომ მას ვენიზელოსის ჯარისაგან თავის დაცვა ჰქონდეს მიზნად.

— —

თანახმად სალონიკიდან მოსულ ცნობების ვენიზელოსს ბულგარეთისათვის ულტიმატუმი წარუდგენია, რომელშიც მოითხოვს საბერძნეთის დაპყრობილ პროვინციების დაცლას.

— —

ათინაში მოკავშირეთა წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციები კავლავ იმართება, ალაგ-ალაგ მოკავშირეთა სადარაჯოებს თავს ესხმიან.

— —

გერმანეთის მომხრეებს საბერძნეთში ხაჯერ კიდევ დიდი გავლენა ჰქონიათ. ხალხი თანაგრძობით დაპყრობა ცნობილ გერმანოფილურ „რეზერვისტებს ლიგის“ მოქმედებას.

— —

საფრანგეთის ჯარის პოლკოვნიკს, ბრაკეს მეფე კონსტანტინესათვის განუცხადებია: ლარისაში დაგროვილი სამხედრო მასალა მოკავშირეებმა უნდა მიიღონ თავის მეთვალყურეობის ქვეშაო. მეფეს არაფერი უპასუხნია ამაზე.

— —

მეფე კონსტანტინეს გაზეთის ფურცლებზე განუცხადებია: ვინც ეხლავე გადმოვა ისევ ჩემ მხარეზე და მოინანიებს დანაშაულს, სრულიად ვაპატიებო. მეფეს იმედი აქვს გადამდგარ ჯარის უკან დაბრუნების.

— —

ავსტრია და გერმანეთი უკვე შესდგომია დაპყრობილ პოლონეთში ჯარის მოკრებას; ამ მიზნით საერთო აღწერილობა მოუხდენიათ.

— —

გერმანული გაზეთები სწერენ: რუსები დარდანელსა და სპარსეთის ყურეს მიიღებენ, თუ სეპარატიულ ზავით შეეკვრებიან გერმანეთსაო.

— —

გერმანული რადიო დეპეშების ცნობით გერმანეთის ფლოტის უფროსად ვილჰელმს პრინცი ჰენრიხ პრუსიელი დაუნიშნავს.

— —

პარიზის ბირჟაზე გერმანული ფულის ღირებულება ძალიან დაცემულა.

— —

გერმანეთში გადაუწყვეტიათ ყოველ გვარ დაბალ და მაღალ თანამდებობაზე მიიღონ ქალები,

— —

როგორც შვეიცარიიდან იტყობინებიან, ბელფორ-ვერდენის ხაზზე გერმანელებს დიდი ძალი ჯარი მოუხდენიათ და რუმინეთის წინააღმდეგ გაუგზავნიათ.

## კონსტანცის დატოვება.

**ოდესა.** 13 ოქტომბერი. კონსტანციდან საფრანგეთის, ინგლისის და რუსეთის კონსულები ოდესაში მოვიდნენ, ქალაქი ცეცხლის ალში ყოფილა გახვეული და ისინი ყველაზე ბოლოს გამოსცლიან ამავე დროს ოდესაში მოვიდნენ კონსტანცის ნავთსადგურის გემების აგენტები, მუშების არტელი, რუსების რაზმი და რუმინელ აფიცერთა ჯგუფი. კონსტანციდან გამოქცეულებიც მოვიდნენ. მათის გადმოცემით, კონსტანცი სრულის წესიერებით დასცალეს. ყველა ბრძანება ზედმიწევნით სრულდებოდა. უკანასკნელ დღეებში მშვიდობიანი მცხოვრებნი დიდად გასტანჯა 4 ღვინობისთვიდან დღე მუდამ გერმანელ-ბულგარელ მფრინავების თავდასხმამ. მათი რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა. 7 ღვინობისთვეს ქალაქს თანაბრად ყველგან ყუმბარებს უშენდა 15 საფრენი. ამ დღეს ყუმბარებით დაინგრა კაზინოს შენობა, სადაც რუმინელთა წითელი ჯვრის ლაზარეთი იყო მოთავსებული. მოჰკლეს 15 დაჭრილი ავადმყოფი აფიცერი და ჯარის-კაცი. ამის მერე ქალაქს ზარბაზნები დაუშინეს. ქალაქის გარეუბნებში ზარბაზნის ყუმბარები 6 ღვინობისთვეს სცვიოდა. მეორე დღეს ყუმბარები უკვე ქალაქის შუაგულში ეცემოდა. 8 ღვინობისთვეს ქალაქიდან გასვლის საშუალება მისცეს ყველას, ვისაც გარიდება უნდოდა. ამავე დროს მთავრობა მატარებლებით, გემებით თუ ნავტიკებით ქალაქიდან ეზიდებოდა სურსათ სანოვაგეს, ამის შემდეგ ქალაქიდან ჯარიც დაიძრა. მიმავალ ჯარს დიდად ეხმარებოდა გემების არტილერია, რომელიც მარჯვე სროლით მტრის რაზმებისაგან იფარავდა ქალაქის მისავალ გზებს და დიდ ზარალსაც აყენებდა მტერს. 9 ღვინობისთვეს, დილით, მტრის მოწინავე რაზმები კონსტანცს უკვე 8 ვერსზე მიუახლოვდნენ. მტრის საფრენები ძალასად სჩანდნენ, ალბად წვიმიან და მოღუშულ ამინდის გამო. უკანასკნელი მატარებელი მტრის ზარბაზნების ნასროლ ქარცეცხლში გამოვიდა ჩერნოვოდის მიმართულებით. მტერმა ზარბაზნეb ცეცხლი ნავთსადგურისაკენ მიმართა. ალბად იქ გემები ეგულებოდა და მათი დაზიანება სწადდა. გემები არ დაზიანებულა. ჩვენმა სახელოვანმა მეზღვაურებმა, აშკარა განსაცდელის მიუხედავად, ყოველისფერი საქმე შეასრულეს, ვიდრე ნავთსადგურს დასტოვებდნენ. მეზღვაურებმა ზღვის ნაპირებზე ცეცხლი მისცეს ელევატორებს, ხორბლეულის, ფქვილის, ნავთის და ბენზინის საწყობებს. როდესაც ნავთსადგური მთლად ცეცხლის ალში იყო და ყველაფერი გადაიბუგა, ჩვენი არტილერია მაშინ დაიძრა ნავთსადგურიდან სრულის წესიერებით. მტერი კონსტანცში 9 ღვინობისთვეს საღამოთი შესულა.

## სამხედრო მიმოხილვა.

გუშინდელ დეპეშებიდან ვტყობილობთ რომ ბულგარელებს უკვე გირსოვო-კაცაპკაიენის ხაზამდე მიუღწევიათ.

ბულგარელების დაუბრკოლებრივ წინსვლას უკვე გამოუღია თავისი ნაყოფი და რუმინელებს დაუწყიათ ბუქარესტიდან არხივების და სხვა დაწესებულებათა გადატანა უფრო საიმედო ადგილებში.

შიში ეჭვი არ არის გამოწვეული იმით რომ რუმინელებს ჰგონიათ ბულგარელები ტურტუქაისთან გადალახავენ და ბუქარესტისაკენ გაილაშქრებენ.

მაგრამ რამდენიც დრო გადის იმდენი უფრო ნათლად იხატება გერმანელ ბულგარელთა გეგმა

მათ რომ მარტო ვალახიის აღება აკმაყოფილებდეთ, ტრანსილვანიიდან დაიწყებდენ ისევ შეტევას და ვალხის გასწყვეტდნენ; მით უმეტეს რომ დობრუჯით საკმაოდ წაიწიეს მათ.

გერმანელებს, როგორც ეტყობა, უფრო ფართე გეგმის განხორციელება სურთ უფრო ვრცელი ტერიტორიის ხელში ჩაგდება უნდა ჰქონდეთ მათ დასახული მიზნად, ვინაიდგან დიდის გამეტებით მიიჭრიან წინ და დუნაის მთელი ხაზის დაპყრობას ლამობენ.

ამ შემთხვევაში ტრანსილვანიის საზღვრების ბრძოლების დანიშნულება რუმინიის ჯარის დაკავება უნდა იყოს.

ერთი საყურადღებო ცნობა კიდევ არის შტაბის გუშინდელ ცნობაში რიგის სამხრეთით გერმანელებს ორ ალაგას შემოუტევიათ რუსებისათვის. რიგის სამხრეთით რუსებს მოუგერებიათ გერმანელთა იერიში, ხოლო მდ. შარაზე ვერ გაუძლიათ და მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე გადმოსულან.

ამ იერიშებს მხოლოდ დემონსტრატიული ხასიათი აქვთ და არავითარი დიდი შეტევა აქ ახლო მომავალში მოსალოდნელი არ არის.

ეს იერიშები წარმოებულა რუსის ჯარის ადგილობრივ დასაკავებლად რომ სამხრეთით არ იქნეს იგი გადაყვანილი.

შვერელი.

## ქართველი ქალი, როგორც ეკონომიური ძალა.

ბევრი კარგი ძველი ჩვეულება გადავარდა, ახალმა კი მისი ადგილი ვერ დაიჭირა. პირიქით, სასიკეთოსი და სასარგებლოს ნაცვლად მხოლოდ სავნო და საზიანო შევიძინეთ და შევითვისეთ.

სად-ღაა ძველი, ღვთაებრივი ძლის-პირი, საეკლესიო გალობა ან შვენიერი სახალხო სიმღერები?! მიყრუებულ სოფლებშიღა შენახულა კიდევ მათი ნაშთი და ნასახი! ქალაქში კი ევროპის დუქნების სიმღერებსა ბაძავენ და მასაც უხეიროდ!

სად-ღაა ძველებური ბურთაობა და სხვადასხვა სასარგებლო სახეულო ვარჯიშობა? მაგიერად დაუსრულებელი ღვინისმა და დუქნური ჩხუბი ვადიქცა ზნედ და წესად.

სად-ღაა ძველებური კ[illegible]ობა, ზნეობა, პირის სიმტკიცე, გამტანობა და სიყვარული? მათ ნაცვლად სამარცხვინო გარყვნილობა, უპ[illegible] და შური და მეს[illegible]!

ერთი სიტყვით, ყველაფერი გადაგვარდა. და, რასაკვირველია, რომ ახლანდელი ქალი ძველ ქალს აღარა ჰგავდეს!

ამ ომმა ბევრი ჩვენი ეროვნული წყლული და ტკივილი გამოაჩინა და გამოამზეურა, რომელიც მშვიდობიანობის დროს არა ჩნდა, და სხვათა შორის ერთს ჩვენს დიდ ჭირსაც, რომლის შესახებაც ამ წერილში საუბარი მაქვს, ახადა ფარდა.

წარმოუდგენელია ის უმწეობა, რომელშიაც დღეს ქართველი ქალი ჩავარდნილია. ის ცხოვრებასთან სრულიად მოუმარჯვებელია და უპატრონობით საშინელ გაჭირვებას განიცდის. ქმარი ომშია და ოჯახი მშიერ-მწყურვალ-მცივანიაო, სჩივის. და, კიდევაც რომ არა სთქვას, რა, საკმაოა მის გამხდარს, ფერმიხდილს, და მწუხარე სახეს შეხედოთ, რომ მისი ჭირი და ვარამი გამოიცნოთ დიაღ! მას უზომოდ უჭირს და საზოგადოება და სახელმწიფო მოვალე არიან დაეხმარონ.

მეორე მხრით, ეს ფაქტი ჩვენი ქალის ეკონომიურ უძლურებას ცხადად მოწმობს.

მართლაც, ახლანდელი ქართველი ქალი აღარც ართავს, აღარც ქსოვს და აღარცა სწნავს. საქალო მუშაობა, შინაური ხელობა, გადავარდა და ქალის, როგორც ეკონომიური ძალის, მნიშვნელობა არარაობად იქცა.

ამ მხრით არა თუ ევროპელი და იაპონელი, არამედ რუსის ქალიც კი უფრო წინ არის. ჩალის ქუდების, წინდების, შალებისა და სხვ. ქსოვა, მოსახვევების, ყელსახვევებისა და სხ. კეთება, საცვლების კერვა, კალათების წნვა, სათამაშოების კეთება, ბევრი სავაჭრო დარგი და სხ.—ქალების ხელშია. აიღეთ მაგალითად, თუნდა მწნილის მზადება. რა მომგებიანი საქმეა! და რა ძვირად ჯდება რუსეთიდან მოტანილი, ჩვენიდან გატანილი მწვანილისაგან მომზადებული! ნუ თუ ეს ქალის საქმე არ არის?!

დიაღ! ბევრია სამკალი, ხოლო მომკელი ცოტაა. და ქართველი ქალის უბედურობა სწორედ ის არის, შინაური ხელობა რომ არ იცის და, მაშასადამე, როგორც ეკონომიური ძალი, თითქმის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. დიაღ! ის აღარ არის მოქმედი მწარმოებელი, არამედ, სამწუხაროდ, მცონარეა, უმოქმედოა!

ნუ ეწყინებათ და ნუ დამემდურებიან ამ მწარე სინამდვილის თქმისათვის, რადგან თქმისათვის, რადგან შეურაცყოფის წადილი კი არა, გულის ტკივილი მალაპარაკებს.

ისა სჯობია, თვითონვე ჩაუკვირდე თავისი საშინელი მდგომარეობის მიზეზებსა და შესაფერი სამკურნალო საშუალოება გამოიძიონ და აღმოაჩინონ.

უეჭველია, ქალები რომ ეკონომიურ

## დიდი სომხეთის იდეა და საქართველოს საკითხი.

### ისტორიული მიმოხილვა.

გაგრძელება იხ. „სამშ.“ № 461.

ერეკლე მეორესა და იმპერატრიცას შორის 1783 წელს დადებული ტრაქტატი აღიარებს რუსეთის უზენაესობას. ორი ბათალიონი ეგერთა კორპუსისა ოთხი ზარბაზნით პოლკოვნიკის ბურნაშევის უფროსობით ჩამოდის თბილისს.

საქართველოში რუსის ჯარის ჩამოსვლამ აალაპარაკა მთელი სპარსეთი, ანატოლია და მცირე აზია. აგრეთვე, ერეკლე მეფის მიერ თავის დამოუკიდებელ სამეფოს რუსეთის ვასალად აღიარებამ დიდი განცვიფრება გამოიწვია ევროპის სახელმწიფოებში საინტერესო იქნებოდა გადათვალიერება ევროპის იმ დროინდელ ოფიციოზურისა, თუ სხვა სახის ჟურნალ-გაზეთობისა, მაგრამ ევროპაში გაზდილ ჩვენს თანამემამულეებს ამაზე თავი არ შეუწუხებიათ.

სხვათა შორის, მაშინდელი პეტერბურგელი ელჩი საფრანგეთისა პარიზის ერთს ოფიციალურ ორგანოში ამ საკითხის შესახებთავის დიდ წერილში ამბობდა: „ეკითხები შენს თავს და ვერ მოგინახავს პასუხი, ერეკლე ბაგრატიონმა, ამ უძლეველმა მონარქმა, თავისი დამოუკიდებლობა მონობაზე რისთვის გასცვალაო“.

ამ სახელმწიფოებრივ აქტის შემდეგ უგ. თავ. პოტიომკინი უფრო გატაცებით ჰქლევა თავის ოცნებას. ის ბიზანტიის აღდგენის საკითხს თავს ანებებს და ახლა სულ სხვა ახალი აზრები იპყრობს მის გონებას მისი ხელმძღვანელობით დგება გეგმა მცირე აზიაში დიდი ქრისტიანული სახელმწიფოს სომხეთის დაარსებისა, რუსეთის მეთაურობითა და პროტექტორატით

სარბიელზე გამოდის სომეხთა არქიეპისკოპოზი იოსებ არღუთინსკი. იოსები ეკუთნოდა სომეხ თავადთა არღუთაშვილების გვარს, რომელთაც თავადობა, მამული და წარმატება ქართველ მეფეთაგან აქვთ მიღებული. რუსეთთან დაახლოვების შემდეგ მათ თავისი გვარი არღუთინსკი—დოლგორუკოვათ გადააკეთეს. ის ნიჭიერი და მახვილი გონების კაცი იყო, აგრეთვე გაღენთილი პატივ მოყვარეობით და განდიდებისკენ მიდრეკილებით.*)

ეს სომხის ეს არქიელი მახლობელ კაცად გაიხადა თავ. პოტიომკინმა და მასთან ერთად შეუდგა საქმის განხორციელებას. უნდა მოსპობილიყო საქართველოს სამეფო და დაარსებულიყო დიდი სომხეთი, რომლის ფარგალში მოიქცეოდა თვით საქართველოც. როგორც ოფიციალური საბუთები ადასტურებენ, პოტიომკინ-არღუთინსკის გეგმით აღდგენილ სომხეთს მოსაზღვრეთ უნდა ყოლოდა სპარსეთი, ოსმალეთი და რუსეთი, ხოლო სამეფო ტახტზედ უნდა ასულიყო თავ. პოტიომკინი. პოტიომკინმა უკვე ინდოეთსა და ჩინეთში შეუკვეთა ფაიფურის მდიდრული ჭურჭელი სომხეთა ძველ მეფეების ოქროს ღერბით. ეს ჭურჭელი ეხლაც ინახება თბილისის კავკასიის მუზეუმში. იმ დროს დაბეჭდილ სომხურ წიგნებზედაც იხატებოდა სომხეთა მეფეების ღერბი.**) იოსებმა წერილები აფრინა ეჩმიაძინის სინოდსა და წარჩინებულ სომხებთან: გიხაროდეთ და ევედრენით უფალსა, რამეთუ მოახლოვებულ არს ჟამი დიად საქმის შესრულებისა შეწევნითა დიდ რუსეთისაო, სწერდა იგი მათ.

პეტერბურგის წრემ იოსებს მიანდო შედგენა იმ ხელშეკრულების პროექტისა, რომელიც წინასწარ უნდა დადებულიყო რუსეთის საიმპერატორო სახლეულებასა და სომხეთა ერის შორის. ეს ხელშეკრულება საფუძვლად დაედებოდა მომავალ სომხეთსა და რუსეთის დამოკიდებულებას.

ამ საკვირველი ხელშეკრულების პროექტის შინაარსი შემდეგია: სრული თავისუფლება და დამოუკიდებლობა (სომხეთა სახელმწიფოსაგან) ეკლესიისა არჩეული მეფე სომხეთისა, იქნება ის ტომით სომეხი, თუ იმპერატრიცას ერთ-ერთი თანამშრომელთაგანი, ვალდებულია ხელმძღვანელობდეს მხოლოდ სომხური კანონებით. მეფის კურთხევა უნდა მოხდეს წმინდა ეჩმიაძინში სომეხთა ძველი მეფეების ჩვეულებით. სატახტო ქალაქათ იქნეს ანი, ან ეჩმიაძინი. სამეფო ღერბი უნდა შესდგებოდეს სამი ძველი ღერბისაგან: ერთ თავიანი არწივი არზასიანთა, ზვარაკი (ცხვარი) ღვთისა ქრისტიანობის დროისა და ორი ლომი მცირე სომხეთისა. ისტორიული ცხოვრების უშესანიშნავეს მომენტების აღსანიშნავად უნდა დაარსდეს სამი ორდენი: პირველი ნოეს კიდობანის სახელობისა სამფერიან ლენტზე, წითელი მწვანე და ცისფერი; მეორე გრიგოლ განმანათლებელის სახელობისა და მესამე მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატისა. განზრახული იყო მომავალი სომხეთი პოლიტიკურად რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფილიყო. რუსთა მცირე რაზმი იქნებოდა სომხეთში მის საზღვრების დასაცავად სპარს- ოსმალთა შემოსევისაგან და ერთი სომეხთა ბატონიშვილთაგანი მუდმივად უნდა ყოფილიყო რუსეთის საიმპერატორო კარზე სომეხთა სამეფო ვალდებული იყო რუსეთისათვის ეძლია ნაწილი ოქრო ვერცხლით მადნეულობისა. ომიანობის დროს ორივე სახელმწიფო (Державы) უნდა მოხმარებოდნენ ერთმანეთს.

ამ ნაირად, სომხეთის აღდგენის პროექტი უკვე მზათ იყო. ის მოწონებულ იქნა საიმპერატორო მთავრობის მიერ, მხოლოდ საჭირო იყო სათანადო მოქმედება და ძალა, აგრეთვე დიდი ფული. გაიხსენეს ემინ ოსიპოვი, მაგრამ მის ქონებას ინგლის ინდოეთის ბანკი დაპატრონებოდა ახლაც გამოჩნდა ერთი ინდოეთელი სომეხი სახელად შამირ ხანი. მან რამდენიმე მილიონი ნაღდი ფული გაიღო ამ საქმისათვის, მხოლოდ მისი აზრით საჭირო არ იყო ომის დაწყება, არამედ შესაძლებლად სცნობდა მთელი სომხეთის ფულით შესყიდვას ოსმალეთისა და სპარსეთისაგან.

თუ ეს საქმე ასე თუ ისე მოგვარდებოდა, მას განზრახვა ჰქონდა დიდი მეურნეობა გაემართა ბორჩალოში, ლორისში, და ერევნის ოლქში, მოეწყო ფართე მასშტაბით ინის შაქრის ლერწამის, ბამბის და ყავის მოყვანა, გაემართა ფაბრიკა-ქარხნები და უცხათ გაეცოცხლებია საუკუნოებით მიძინებულ დაჩრჩაფებული ქვეყანა...

აღსანიშნავია და ფრიად საგულისხმო ის გარემოება, რომ ამ სომეხმა წინეთ ამისთანა წინადადებით მიმართა თვით ერეკლე მეორეს. ის ინდოეთიდან კაცებსა და ძღვენს უგზავნიდა ერეკლეს, აქებდა და ადიდებდა მას, ულოცავდა მტრებზე გამარჯვებას; მის სამეფოს დაწინაურება —წარმატებას უსურვებდა.

მადლობას უთვლიდა სომეხთა მფარველობისა მათზე მამობრივი მზრუნველობისათვის და სთხოვდა ქრისტიანი ერის ესე იგი სომხების მაჰმადიანთა ბჭყალებისაგან განთავისუფლებას და თავისი თავის სომხეთის მეფედ გამოცხადებას. ამ წინადადებას ერეკლე თანაგრძნობით შეხვდა უბოძა მას თავადობა, უწყალობა მიწა-წყალი ბორჩალოში და შეაძლია ამ ო-

*) С. Эсадзе. Историчаская записка объ управленіи Кавказомъ. т 2 стр. 153.

**) Потто. Кавк. война т. 3.

ღირებულებას წარმოადგენდენ, ომი ასეთ საშინელებად არ დაატყდებოდათ თავს.

ჩვენს დიდ პოეტს აკაკის სამარეში თან ჩაჰყვა დარდი, ქალთა საპროფესიო სას წავლებლები რომ არ მოგვეპოვება, და მის ანდერძს, ჩემს სახლსა და ეზოში ქალთა სამეურნეო სკოლა მოაწყვეთო, საყოველთაო, ეროვნული მნიშვნელობა აქვს.

მაშ ვისურვოთ, რომ ქართველ ქალს მცონარეობა უკუეგდოს და მომქმედ ეკონომიურ ძალად გადაქცეულიყოს.

ქალებო! შეიკრიბეთ დააარსეთ ყველა დაბაში ქალთა საზოგადოებანი და მოაწყვეთ საშინაო ხელობის ქალთა სკოლები. თვითეული თქვენგანი უძლურია, ერთად შეკრებილნი კი ყოველსავე დაბრკოლებას მოერევით: ერთობა შეიქმს ძალას. აღამაღლეთ ქართველი ქალის ეკონომიური ღირებულება და მიიღეთ მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის გამრავლე ბაში.

ვასილ წერეთელი.

# ტერიტორიის საკითხი.

(შემდეგი იხ. „სამშ“. №461.)

ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი საკმაოდ დააეჭვიანდა ტერიტორიალურად დამახინჯებულ საქართველოს პოლიტიკურ მისწრაფებაში. მათის ფიქრით ჩვენში აზრი ეკარგებოდა ამ უზენაეს ეროვნულ-უფლებრივ მიდრეკილებას, რადგანაც ასეთი მიდრეკილებისათვის აუცილებელი პირობა,—წმიდა ქართული მოსახლეობა, - სინამდვილეში აღარსად სჩანდა.

შედარებით რამდენად სწორია მათი წარმოდგენა ქართველი ერის მოსახლეობის სიწმინდეზე ამიერ კავკასიაში, ეს სხვა საკითხია,—მაგრამ ის ფაქტი, რომ სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენი ბინადრობა შეირყა უკვე საცილობელი აღარაა.

სწორედ ამ გარემოებამ წარმოშვა ჩვენს საზოგადოებაში გვარიანად გავრცელებული რწმენა „კულტურულ ავტონომიისადმი“.

ქართველ ინტელიგენციაში არ ურევია, არც ერთი კერძო მოაზრე, გინდ პარტიული ერთეული, რომელიც პრინციპიალურად წინააღმდეგი იყოს ტერიტორიალიზმის. და თუ ჩვენში მაინც აქვს ალაგი ეროვნულ ნიჰილისტურ აზროვნებას, ეს იმიტომ, რომ „ქართველი ერი დღეს არ ჰფარავს საქართველოს და საქართველო ქართველ—ერსო“ (ნ.ჟ-ნია) თორემ სხვა შემთხვევაში და სხვა პირობებში ბ. ნ. ჟორდანიას არც საქართველოსათვის შეშურდებოდა მისი, უკანასკნელ ხანებში ცნობილი ეროვნული ზოგადი მცნება: „ერთი ერი, ერთი ტერიტორია და ერთი სახელმწიფო“.

გავიხსენოთ ისიც, რომ ბ. ნ. ჟორდანიამ მოძრაობის დროს, დღეს მისთვის სატრფიალო „კულტურულ ავტონომიაზე“, „ტაქტიკურის მოსაზრებით“ კრინტიც არ დასძრა. ერთი სიტყვით ქართული უფლების საკითხი, ამიერ-კავკასიის ეთნოგრაფიული მრავალსახეობის გამო, სათამაშო საგნად გახდა იმ „ტაქტიკური მოსაზრებათა“, რომელიც ავგ. ბებელის სიტყვით ყოველ ოცდაოთხ საათში იცვლება. რასაკვირველია დასელების „ტაქტიკას„ ამ შემთხვევაში სხვა მარქსისტულ ფილოსოფიური საფუძველიც უდევს, მაგრამ უმთავრესი მიზეზი მათი ორმაგი პოლიტიკისა ისევ და ისევ ჩვენს ტერიტორიალურ მდგომარეობაშია.

რომელი უმეცარი ქართველი იტყვის რომ ამიერ-კავკასია წმიდა ქართული მოსახლეობაო? შეიძლება დასავლეთ საქართველოზე თამამად ითქვას ეს, ხოლო აღმოსავლეთით კარგა ხანია ჩვენს სხეულში უცხო ელემენტი შეიჭრა. დიაღ, ნახევარი საქართველო ტერიტორიალურად შელახულია! მაგრამ ჩვენს წინ დღეს ასე როდია საკითხი დაყენებული. საქმე ისაა, რომ ქართველი ერი, როგორც სახელმწიფოებრივი სხეული უნდა არსებობდეს. ესაა მთავარი გამოსავალი წერტილი ჩვენი ეროვნული იდეალებისა. ესაა ჩვენი პრინციპი და ამ პრინციპიდან უნდა გამომდინარეობდეს ჩვენი „ტაქტიკაც“.

ვინც ქართულ საკითხს ამ ძირითად დებულებას არ ემორჩილება და მას ქართულ საკითხს სხვათა შორის სწყვეტს, იგი ამაოდ ჩემულობს ივერიელთა ინტერესის დაცვას. ქართველი მოქალაქესათვის რაიმე გარეშე მიზნების განმახორციელებელი საშუალება კი არ უნდა იყოს ჩვენი ეროვნული საკითხი, არამედ თვით მიზანი და აი, როდესაც საკითხს ამ მხრივ მოუვლით, მაშინ ტერიტორიის საკითხსაც სხვა ღირებულება ემატება.

უტერიტორიო ერის სახელმწიფოებრივობა, ან და კულტურული თავისებურობის უზრუნველყოფა ზღაპარია. ვისაც მხოლოდ ლიტონი სიტყვებით არ სურს თავის მოტყუილება, იმან ერთხელ და სამუდამოთ უნდა იწამოს, რომ ეროვნებათა თავისუფლება ფაქტიურად ნიშნავს, ერის ამა თუ იმ ტერიტორიის ფარგლებში უფლება მოსილ ძალად აღიარებას.

რაც შეეხება ქართველ ერს, ის ამ შემთხვევაში იძულებულია თავის მდგომარეობას ანგარიში გაუწიოს.

ჩვენი მოზარდი ორგანიზმი დღეს ძალზე შეკუმშულ შეხუთულია. ის მხარე სადაც უცხოელები არ გვაწუხებენ, ეკონომიური ენერგიის განსავრცელებლად აღარ გვყოფნის.

სამხრეთ-აღმოსავლეთით იერიშები მოაქვთ, რასაც ქართველი ხალხი ვერ უმაგრდება და უკან იხევს. მაგრამ უკან დაწეულს გალიაში დამწყვდეული ჩიტის ბედი ემუქრება

დასავლეთით შავი ზღვაა,—სადაც, როგორც მოგეხსენებათ, მოსახლეობის მოწყობაზე ჯერ მელიე საუკუნის თამამ ტენიკას არ უფიქრნია.

ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი ერთობ მიუკარებელია ერის დასამკვიდრებლად. სამხრეთით კი ჩვენი სისხლ-ხორცნი ჭან-ლაზები და ახალ-ციხელები თითონვე მიწის სივიწროვით იტანჯებიან,—რომელთაც მოსამზღვრე ოსმალეთი, რა თქმა უნდა, თავის სამფლობელოში ვერ უზრუნველყოფს. მაშ საით უნდა გაიშალოს ქართველი ერის მოზარდი ორგანიზმი, რომელიც დღეს საბედისწეროთ გაბაწრულია?!

ვენ.

(შემდეგი იქნება)

ქის უფროსობა. ამის შემდეგ ეს შარმიხანი *) წავიდა ინგლისში და სთხოვდა ინგლისის მთავრობას დახმარება გაეწიათ ერეკლე მეფისთვის სომხეთის აღდგენაში და მიეღოთ ერეკლე მეფე თავის მფარველობის ქვეშ.

ინგლისშიაც ამას თანაგრძნობით შეხვდნენ, სურვილი გამოსთქვეს ერეკლე მეფის სომხეთის მეფეთაც გახდომისა და თავის მფარველობის ქვეშ მიღებისა.

ამის შესახებ შეადგინეს დიდი პროექტი.

ყველაფერი ეს ხდებოდა ეჩმიაძინის სინოდისა, ყარაბახელი მელიქებისა და სასულიერო პირთა მონაწილეობით.

ერთი ეგზემპლიარი ამ პროექტისა ხელში ჩაუვარდა იმპერატრიცა ეკატირინეს, რომლის მთავრობასთან ერთად ეგ შამირხანი, ახლა სულ სხვაგვარ პროექტებს ამზადებდა. აქ ყველასთვის ცხადია, თუ რა შთაბეჭდილებითა და გეგმებით იმოქმედებდა რუსეთის მთავრობა შესახებ საქართველოისა და თვით ერეკლე მეორისა, მით უმეტეს, რომ რუსეთის მთავრობას დიდი პლანები ჰქონდა განზრახული აზიისაკენ გზის გასაკაფავად და გავლენის განსამტკიცებლად, რომელიც ინგლისაც სურდა გადაექცია თავის სამოქმედო—სამოღვაწო ასპარეზად.

ინგლისის გარევა საქართველოს საქმეებში დიდს, არა სასურველს, და სახიფათო საქმეს წარმოადგენდა რუსეთისათვის..

თვით ერეკლე მეფის შინაური სახელმწიფო საქმეებიც არ იყო წესიერ დონეზე დაყენებული. დაბადებით გმირი, საუკეთესო მეომარი, უნიჭიერესი მხედართ—მთავარი, დაუფასებელი სტრატეგი, ეს ნამდვილი ომის ღმერთი, შინაურობაში ნაკლებათ არჩევდა მტერსა და მოყვარეს, ერთგულსა და ურჩს. ბევრი იმისთანა პირნიც—კი, რომელნიც მის წყალობით განდიდებული იყვნენ, ჩუმად ორგულობდენ მას. ხოლო რაც შეეხება სომხებს, იმათ მთელი პარტია ჰყავდათ შედგენილი, რომელიც მოქმედებდა ძალიან ეშმაკურად, დიდის მოხერხებით და მუდამ ორპირული გზით. ამ წრეს სომხებისას მეთაურობდა სომეხთა ცნობილი არქიელი იოსებ არღუთინსკი. მათ მახლობელი დამოკიდებულება ჰქონდათ აგრეთვე ყარაბაღელ მელიქებთან, განსაკუთრებით ვინმე მეჯნუნთან, *) რომლის დიდი მწყალობელი იყო მეფე ერეკლე, და რომელმაც ბოლოს აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარში ამოყო თავი სომხებს ყველგან და თვით სასახლეშიაც თავისი აგენტები ყავდათ...

ბ. ჯაიანი.

(შემდეგი იქნება)

*) იგივე შახტუნი. იხ. ხაჭ. ჭიჭინაძე, „სამშობლო“-ში.

*) გვარად შახნაზაროვი.

# ახალი ამბავი.

✦ დღეს, შუადღის 12 საათზე ქალაქის თეატრის დარბაზში გაიმართება ჩვეულებრივ ლექციების კითხვა. წაიკითხავს ვ ლ. ემუხვარი, შემდეგ თემაზე: „ფულის საკითხი“. (ტრიალი). ალ. წერეთელი: „ინგლისის ისტორიიდან“.

✦ ორშაბათს 17 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია სხდომა სურსათ-სანოვაგის საქმეების მომწესრიგებელ კომისიის, ვაგონების გასანაწილებლათ.

✦ 21 ოქტომბერს, ქუთაისის უფასო საქალებო შკოლის არსებობის 50 წლის შესრულების გამო, ამავე შკოლის ბაღში მმრთველის ქ ნ გიმჩენკო—რუბმანის თაოსნობით გაიმართება ლატარია-ალეგრი, ლატარიაში გათამაშებული იქნება ამ შკოლის მოწაფეების მიერ ნახელსაქმევი შემოსავლის ნახევარი გადაიდება ომისაგან დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ.

✦ მოხ. საზ. „რეგულიატორის“ გამოწერილი ერთი გემი ბესარაბიის სიმინდი (100,000 ფუთი) უკვე განაწილდა სოფლის კოოპერატივთა შორის. მეორე გემს მოელიან ამ ახლო მომავალში. მიღებულია აგრეთვე ზომები მარილი მალე იქნეს მიღებული.

✦ სააღრიცხვო კურსები. 25 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდი „რეგულიატორის“ გამგეობა ქუთაისში აწყობს პრაქტიკულ კურსებს მომხმარებელ საზოგადოებებში ანგარიშის წარმოების შესასწავლად. გამგეობა მოუწოდებს საზოგადოება „რეგულიატორის“ წევრ კოოპერატივებს, აუცილებლად გამოგზავნონ ამ კურსებზე 2—3 კაცი. კურსებზე მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არა წევრთაც. დაწვრილებით ამბის გაგება ამის შესახებ მსურველთ შეუძლიათ საზ. „რეგულიატორის“ კანტორაში.

✦ სოქვედ-მოქმედი საზოგადოების სკოლაში, ს. თოკში, საჭიროა მასწავლებელი. მასწავლებელს ჯამაგირი ექნება თვეში 100 მანეთი.

✦ ხუცუბნის სკოლის მებაღეთ დაინიშნა ტრ. გოზალიშვილი.

✦ 13 ოქტომბერს, ქუთაისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით შესდგა საგუბერნიო სასურსათო საქმეების მომწესრიგებელი კომისიის კრება. კრებაზე გამოირკვა, რომ მთელი ქუთაისის გუბერნიის საჭიროებისათვის თვიურად აუცილებელი ყოფილა 125 ვაგონი პურის ფქვილი. დაევალა ქალ. გამგეობის წევრს არდიშვილს გაემგზავროს ჩრდილო კავკასიაში იმისი გასაგებად, თუ რომელ მეწისქვილესთან შეიძლება ხსენებული რაოდენობის ფქვილის შოვნა, რომ ქუთაისის გუბერნია უზრუნველ-ყოფილ იქმნას პურის მხრივ.

✦ „სახალხო ფურცელი“ს მიუღებლობა ქუთაისში. ეს ერთი კვირაა „სახ ფურცელი“ სულ არ მოდის ან უდროვოთ. კანტორა „იმერეთს“ არ მიუღია იგი არც ხელის მომწერლებისათვის და არც გასაყიდათ ოქტომბრის 8,11,12 და 15-ს.

როგორც გაუგია „იმერეთი“ს გამგეს გაზეთი ექსპედიტორის მიზეზით თფილისის ვაგზლებიდან ვერ იგზავნება. კანტორის გამგე ამით აცხადებს, რომ გაზეთის მიუღებლობის მიზეზი თვით არ არის და ყოველივე საყვედურებს იშორებს.

✦ ხოლერა. გუშინდელი ცნობით ხოლერით ავათ გახდენ და ქალაქის გადამდებ სენიანთა ბარაკში გაიგზავნენ შემდეგი პირები: ბეჟან აველისოვი, გადმოხვეწილი სომხეთიდან, 7 წლის. არიან თავის ბინაზე: დარია ვალაევა, ლოსაბერიძის შესახვევი, სახლი № 52. სულაბერიძე ივანე, ციხის ზედამხედველი, წევს რუბანის ქუჩაზე საკუთარ სახლებში. აგრეთვე ქალაქის საავათმყოფოში ავათ გახდა და ბარაკში გადაიყვანეს ციკობიძე და ჩუბინიძე, უკანასკნელი მოკვდა.

✦ როგორც მოხსენებული გვქონდა მოხ. საზოგადოება „კოოპერაცია“ შეუდგა შაქრის გაყიდვას. აღსანიშნავია, რომ სავაჭრო დუქანთან დიდი აურ-ზაური და ცხვირ-პირის მტრევაა მუშტართა შორის, წეს-რიგის დამცველად ვითომც ჯარის კაცები და პოლიციელებიც კი ჩაუყენებიათ, მაგრამ მიუხედავათ ამასა, მაინც არ არის წესრიგი დაცული, ხალხი ერთი მეორეს ასკდება და ეხეთქება, რაც ხელ ჩართულ ცემა ტყეპათაც გადიქცა. საჭირო იყო ქალაქის გამგეობას განკარგულება მოეხდინა ეს შაქარი სხვა და სხვა უბნებში გაყიდულიყო მაშინ ადგილი აღარ ექნებოდა ესეთ ამბებს.

✦ ქუთაისში 1 ოქტომბრიდან გაიხსნა ფოსტ-ტელეგრაფის განყოფილება, ქალაქ გარეთ რიონის პირათ.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო დაარსებულ იქნას მომხმარებელი საზოგადოებები შემდეგ სოფლებში: ქვედა მამათში, ოზ. მაზრა, სახელწოდებით „დამაკვიდრდი“. შორაპანში „შრომა“. გალმა-მელექედურში „ჩვენი კავშირი“. ითხვისში, შორაპნის მაზრა, „შრომა“.

✦ სოფელ სავანეს (შორაპნის მაზრა) მცხოვრები გლეხი ანთიმოზ ქავთარაძე 9 ოქტომბერს სადღაც წასულა, და ჯერც არ დაბრუნებულა სახლში. ამის გამო მისი შვილები სთხოვენ საზოგადოებას თუ ვინმემ რაიმე გაიგოს ამის შესახებ აცნობონ ხსენებულ სოფელში ერთ მათგანს, სილიბისტრო ქავთარაძეს.

✦ სოფლიდან შემოტანილი სანოვაგის ფასი. გუშინ ქუთაისში სოფლებიდან ბევრი სანოვაგე შემოიტანეს. ფუთი ფქვილი იყიდებოდა 2 მ. და 60 კ-დან- 3 მ. 20კ.-დე სიმინდი 1 მ. 40 კ. კვერცხი ასი 5 მან, ქათამი-ვარია 1 მ. 80 კ. დან.-2მ.და 80კ დე. კვიჩი 3 მ. 50 კ.-დან 6 მან.-დე. მოზრდილი ბურვაკი 6 მ.-დან 10 მან.-დე. ყველი ჩარექი 1 მ. 40 კ. გრძელი [illegible] რიჟანი ასი 1 მ. და 60 კ. პომიდორი ფუთი 1 მ. 40 კ. ბატი 4 მ.-დან 5 მ. და 50კ. დე. ბატკანი [illegible] მოზრდილი ბატკანი 15 მ.-დან 20 მ.-დე. ინდაური 3 მ.-დან [illegible] ფუთი 1 მანეთი და სხვა.

### სოფლად და ქალაქად.

— ს. ტობანიერში. 4 ბოროტგამზრახველები ღამით თავს დაესხა ს. სანიკიძეს, წაართვეს ას თუმნამდის და მიიმალენ.

— ს. ორხევში. (დუშეთის მაზრა) ს. თარაშვილს თავს დასხმიან 10 შეიარაღებული პირები და წაურთმევიათ 228 მან. ფულად და 50 მ. ნივთეულობა.

— ფარსში. ნავთი აღარ იშოვება. ნავთის სიმცირის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ ვაგონების შოვნა შეუძლებელია, რომ ნავთი მოვიტანოთო.

— სოფელ კვაუთში (სამეგრელო) სამი შეიარაღებული კაცი თავს დაესხა თ-დ ერმინე ჩიქოვანს, წაართვეს იარაღი და მიიმალენ.

— ქ. ფოთიდან. სექტემბრის განმავლობაში გაუზიდავთ 290,800 ფუთი შავი ქვა.

— ს. შართმეთი. (რაჭის მაზრა) ადგილობრივმა მცხოვრებმა ნიკო ტოგონიძემ 9 ოქტომბერს მოჰკლა ხანჯლით თავისივე მეზობელი ვასილ სხირტლაძე, რომელიც იქვე თავის ეზოში მიწას ხნავდა. მათ განხეთქილება ქონიათ ერთმანეთში. მკვლელი ე. ი. ნიკ ტოგონიძე იმდღესვე სადღაც დაიმალა, მაგრამ მესამე დღეს პოლიციამ შეიპყრო.

— ს. ირში. ოსებმა ებრაელები დაჰოცეს, ყოველივე წაართვეს, პოლიციამ შესაფერი ზომები მიიღო მაგრამ ყაჩაღები მიიმალენ.

### თფილისი

— მეფის ნაცვალი ბრძოლის ველზე წაბძანდა.

— კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირი. 12 ღვინობისთვეს, საღამოს, გ. ნ. ყაზბეგის თავჯდომარეობით მოხდა კავშირის გამგეობის კრება. კრებამ განიხილა თავისი სამოქმედო გეგმა და საჭიროდ სცნო უპირველეს ყოვლისა შეჰკრიბოს ცნობები ჩვენი ქვეყნის კულტურულ საჭიროებათა შესახებ. ცნობების შეკრებაში მონაწილეობას მიიღებენ კულტურულ განმანათლებელი დაწესებულებანი სხვა და სხვა საშუალებით. განხილულ იქმნა აგრეთვე ბ-ნი ეფ. თაყაიშვილის მიერ ამას წინად აღძრული საკითხი, რომ ყველა ქართულ გამოცემათა ათ-ათი ცალი იბეჭდებოდეს კარგს ქაღალდზე, შესანახად.

— სამკურნალო მცენარეულობის მოყვანის საქმე დიდ მაშტაბში იწყება მომავალ წლიდან. სასანიტარო და საევაკუაციო ნაწილის მთავარ რწმუნებულის პრინც ოლდენბურგელის განკარგულებით მომავალ წლიდან 6 ათასი დესეტინა მიწა უნდა დაეთმოს კავკასიაში ამ მცენარეულობათა მოსაყვანად ნაცვლად 4500 დესეტინისა, რომელიც წელს ჰქონდა დათმობილი.

— „ახალი მეურნე“. გორის სასოფ.-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ შუამდგომლობა აღძრა თბ. გუბერნატორის წინაშე ორკვირეულ ჟურნალ „ახალი მეურნის“ გამოცემის შესახებ ქ. გორში აგრონომ გ. ზ. ქურდიანის რედაქტორობით ქართულ ენაზე.

— აჭარელი მოლის მოწვევა. ვინაიდან სტამბოლში აღზრდილნი და მაჰმადიანობაში გაწაფული მოლები ქართველ მაჰმადიანებს უკრძალავენ ქართულ ლაპარაკს და დღემუდამ ჩასჩიჩინებენ, რომ მაჰმადიანების დედა ენა არის თათრული, განზრახულია ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების საინგლო სკოლებში აჭარელი მოლის მოწვევა.

— ღვინის აქციზის გადიდება. უმაღლესად დამტკიცებულ დებულების თანახმად ღვინის აქციზი გადიდებულ იქმნა. ამიერიდან შემდეგი აქციზი დაწესდა: ვედროზე 4 მან. 80 კ. ყურძნის ხილეულისა და ხილეულის წვნის ღვინოზე, ხოლო ქიშმიშისა და შუშხუნა ღვინის წვნისაზე ვედროზე 14 მ. 40 კ.

— უოვლად სამღვდელო ანტონი ეპ. გორისა, როგორც გვატყობინებენ პეტროგრადიდან, დანიშნება ან გდოვის, ან კავკავის ეპისკოპოსადო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჭიროა ქართული ჟურნალი.

ომისაგან ატეხილ აურ-ზაურის დროს საჭიროა საზოგადოებამ ფრთხილად გამოერკვიოს და დინჯათ აწონ დაწონის თავის მდგომარეობა.

რა იყო. ომამდი და რას განიცდის დღეს?

საზოგადოება, როგორც თითოეული ადამიანი ყოველ დღიური განცდით მომავალს სჭვრეტს და ბეჯითდება.

მზე რომ ჩავა, ვიცით რომ იგი ხელახლა ამოვა ჩვენი დაღლილი ჯანის აღსადგენათ ძილს ვაძლევთ თავს. სწორედ ამგვარ მდგომარეობას განიცდიდა ევროპა ომის წინ თუმცა ორმოცი წლის ჩაომრად მზადება ცოტა არ იყოს ბევრ სამეფოს უფთხობდა ძილს, მაგრამ თითოეული მათგანი დარწმუნებული იყო, რომ მოვლენილ კონფლიკტს დიპლომატიურად თავიდან გადიცილებდა და თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ბრძოლა რომელიმე ერთ სახელმწიფოსთან მოხდებოდა. ვის ეგონა, რომ ომი ასე მოულოდნელად დაიქექებდა, მთელ ევროპას ცეცხლში გახვევდა და ასეთ ძლიერ არევ-დარევას გამოიწვევდა!

დღეს ყველა ვხედავთ და ეჭვს გარეშეა, რომ ამგვარმა დიდმა სტიქიურმა მოვლენამ კაცობრიობას თავის კვალი არ დაატყოს და დიდი შედეგები არ გამოიწვიოს. რასაკვირველია საზოგადოება და ყველა გონიერი ერი დიდი წინა დახედულობით და მოფიქრებით შეხვდება ცხოვრების ახალ ტალღებს რომ იგი აღელვებულმა ზვირთებმა ჯურღმულში არ მიარეკოს და არ დააზარალოს.

ამისათვის ბევრი რამეა საჭირო და პირველ ყოვლის ერთობა, რომლისაგანაც ჩვენ ასე შორს ვართ, მაგრამ ამგვარ მძიმე საკითხებს მე აქ არ შევეხები.

მე საჭიროთ ვრაცხ მხოლოდ, რომ საზოგადოების სული და გული, მისი მაჯის ცემა, მისი სიცოცხლე ლანდივით არ იკარგებოდეს.

ამისათვის საჭიროა გვქონდეს სერიოზული თვიური ჟურნალი. ჟურნალი რასაკვირველია საპოლიტიკო, სალიტერატურო და საეკონომიო უნდა იყოს. მას არავითარი პარტიული დანიშნულება არ უნდა ჰქონდეს. ჟურნალი საჭიროა ჩვენთვის არა მარტო როგორც ცხოვრების სარკე, იგი უნდა იყოს ჩვენი ერის სახიერების მისი ავლადიდების გამომხატველი.

ჟურნალი უნდა გამოიცეს კოლეგიის მიერ. ხარჯი უნდა იკისროს ან რომელიმე აქციონერულმა საზოგადოებამ, ან კავშირმა, წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ, საკრედიტო დაწესებულებამ და სხვა; ერთი სიტყვით ჟურნალის საჭიროება და მისი არსება ფართოთ უნდა იყოს შეგნებული და აღიარებული.

დღემდი ერთი დიდი თვიური ჟურნალის უქონლობა შესანიშნავ დანაკლის შეადგენს დღეს კი, ამ ღვთის რისხვის დროს, იგი მიუტოებელ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს.

ნუ დაგვავიწყდება, რომ აქამდი ქაღალდის და ბეჭვდის სიაფის დროს თითოოროლა წიგნი ჟურნალ გარეთაც იბეჭდებოდა, დღეს კი სიძვირის გამო სულის შემოქმედების გამოფენას თითქმის საშვალება ეკარგება. ამისგამო ას და ორას უმნიშვნელო ნაწარმოებში საზოგადოებას შეუძლია დაჰკარგოს ერთი იმგვარი სულის ამონაკვნესი, რომელიც მისთვის დაუფასებელ შემოქმედებად დარჩება.

ჟურნალის დიდ მნიშვნელობაზე საუბარს არ ავძრავ, რადგან იგი ყველასათვის ცხადია, მხოლოდ მკითხველს გავახსენებ, რომ გარდა ყოველგვარ ლიტერატურულ ნაწარმოების მოთავსებასა, ნუ თუ შეიძლება რომ დიდი საკითხები: საქართველოს დამოკიდებულება ომისადმი, მისი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, ერობის შემოღება, ჩვენ მეზობელი ერებთან ურთიერთობა, მათი ჩვენდამი დამოკიდებულება, აგრარული საკითხები და სხვა მარტო გაზეთის სტატიებით საკმაოდ გაშუქდება და საისტორიო მასალათ გამოგვადგება?

ძრიელ მცირე ქართველი ინტელიგენტები რომელნიც რუსულ ჟურნალს არ კითხულობდენ და გაზეთის კითხვით კმაყოფილდებოდენ. ასე უკულმართად ვაკმაყოფილებთ სულის მოთხოვნილებას და იმდროს, როდესაც ჩვენი სულის არაფერი ვიცით, სხვის სულში ვბოდიალობთ. გაზეთები ჩვენს ენაზე გვაქვს, მოგვეცით ახლა ჟურნალიც.

ივლიტელ?

# პროვინციის ცხოვრება.

**ს. იანეთი** (ქუთ. მაზრა) წასულ წელს აქ გადაიწვა ღარიბი გლეხი ექვთიმე კოპალეიშვილი. იგი ღარიბი გლეხი იყო და ეხლა თავის წვრილი ცოლშვილით დიდ გაჭირვებას განიცდის. მან არა ერთხელ მიმართა ქ. საქველმოქმ. საზოგადოებას თხოვნით რომ რამე შემწეობა აღმოეჩინათ, მაგრამ დღემდე ყურადღება არ მიუქცევიათ.

ხალხში დიდი გულცივობაა

.

რადგან ჩვენ ხალხში ზნეობრივი კანონი აღარ არის. კარგი იქნება მთავრობა მიაქცევდეს ყურადღებას ჯარში წაყვანილთა ცოლშვილის უმწეო მდგომარეობას და ვალდებულათ გახდიდეს იმ ოჯახის წევრს, რომელიც შინაა დარჩენილი, რომ მიეხმაროს საჭიროების დროს უპატრონოდ დატოვებულ ოჯახში მყოფთ.

ი. ხეთურელი

# უპუ ვაგდოთ.

ყველამ ვიცით, რომ რამოდენიმე საუკუნეთი ქართული ასოები ადრეა შემოღებული ამ უცხო ენის ასოებზე და, მაშასადამე, რა დაამგვა ამ ენის ასოებმა, რომ იგი ჩვენვე გამოვდევნეთ ხმარებიდან, ეგვიპტელები გეორგლიფებს ღურსმული წარწერებს ხმარობდნენ და ჩვენ, ღმერთმანი, რა გვემართება ეს? გადაგვარება მინახავს მაგრამ ამ გვარი? თუ ლაპარაკი აღარ ეხერხებათ ჩვენ შვილებს იმ ენაზე, რომელზედაც თამარ პრწყინვალე ბრძანებასა სცემდა, ნუმცის ხმარება მაინც ვასწავლოთ მათ და ქართული ასოებით მოვაქარგვიოთ ოჯახური საჭირო ნივთები, ყველა ეს წვრილმანია, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ პატარა ნაშცეცებისაგან შესდგება მთელი მაშ, უპუ ვაგდოთ ყოველივე რაც ჩვენს ეროვნულ ფიზიონომიას ამახინჯებს.

მ. ბუაჩიძე.

# რუსეთი.

„ბირჟ. ვედომოსტი" გადმოგვცემს. მიუხედავათ იმისა, რომ სახ. საბჭოში მინისტრთა უმეტესობა უარყოფით შეხვდა გაზეთი „კოლოკოლის" რედაქტორის ვ. მ სკვარცოვის თხოვნას გაზეთის გამოსაცემ ნივთიერ დახმარებაზე, რამოდენიმე მათგანის მეოხებით მაინც დაადგინეს ამ გაზეთის გამოცემის ხარჯში მონაწილეობა მიიღონ და მისცენ დახმარება.

— —

გაზ. „რეჩის" სიტყვით ორენბურგის გუბერნიის ერობამ სწავლა განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ ქ. ორენბურგი ჩარიცხონ იმ ქალაქთა რიცხვში, რომელნიც ახლო მომავალში თხოულობენ უნივერსიტეტის გახსნას.

— —

„ბირჟ. ვედომოსტის" ცნობით მთავრობის მიერ დანიშნულმა კომისიამ შეიმუშავა მოხელეთა ჯამაგირების მომატების საკითხი და დაადასტურა, ჯამაგირები გადიდდება 10—90 პროცენტამდე. ჯამაგირი მოემატებათ ამ გვარათ: ვინც იღებს 600 მანეთს უნდა მიემატოს 90 %; ვინც იღებს 1200 მანეთს—75%; 1800 მ. —65 %; 3000 მ —45 % კომისიის თათბირს დაეთანხმა ფინანსთა მინისტრი პ. ლ. ბარკი და კანონ პროექტი წარდგენილი იქმნა მინისტრთა საბჭოში. 7 ოქტომბერს საბჭომ განიხილა ცხრილი ჯამაგირის მომატებისა, მოიწონა იგი და დაადგინა: მიეცეს დამატებითი ჯამაგირი ყველა მოხელეს გარდა იმ პირთა, რომელნიც პეტრეს ქალაქში და მოსკოვში იღებენ 9000 მანეთს და მეტს და სხვა ადგილებში 6000 მანეთს და მეტს. მომატებული ჯამაგირის მიღება უნდა გაგრძელდეს ერთ წელიწადს დღიდან სამშვიდობო ზავის რატიფიკაციისა

# უცხოეთი.

ავსტრალიაში 139000 კაცი ჩაწერილა იმ ჯარში, რომელიც ინგლისის მისაშველებლად მზადდება. ამათგან მხოლოდ 60000 აღმოჩენილა ჯანსაღი.

— —

შვეციის ელჩს ბერლინში თავის მთავრობისათვის წინადადება მიუცია სავაჭრო ახალი ხელშეკრულება დასდოს გერმანეთთან; ამას ელჩი შვეიცარია-გერმანეთის ახალი ხელშეკრულების მიერ შექმნილ ახალ გარემოებით ასაბუთებს.

— —

იაპონიის გზათა სამინისტროს სამხრეთ სახალინის რკინის გზის პროექტი შეუდგენია. ამ პროექტის განსახორციელებლად 1,200000 იენი გადაუდვიათ.

— —

ავსტრიის პრემიერ მინისტრს, შტირგკის მკვლელობით ყველა უკმაყოფილო ყოფილა. „ფორვერცის" აზრით მკვლელობა სრულიად უაზროა.

— —

ინგლისის ქვედა პალატის დეპუტატი 1000 მან. დააჯარიმეს სამხედრო საიდუმლოების გაცემისათვის.

— —

შვეიცარიაში, იმ ქარხნებში, რომლებიც მოკავშირეთათვის მუშაობენ ბოლო დროს ერთობ ხშირად ხდება აფეთქებანი ხოლმე. მოკავშირეთა პრესა ამას გერმანელთა აგენტებს აწერს.

— —

ისპანიის მეფე ალფონსი სანსებასტიანში წასულა, სადაც მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ინახულებს. ამ გარემოებას ისპანიაში დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

რედაქტორი ი. ციციაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო"

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმთ ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერს და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. პილაძის. შესავალი გაზ „მეგობრის" რედაქციის ბინიდან.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილით 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

2-8 ალექსანდროვის ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** ი. ჩარკვიანი ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი **დაბრუნდა და განაახლა** ავადმყოფების მიღება დილით 12½—2 საათ, საღ. 6—8 საათ მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლვოვშოვის ქუჩა, ალიხნოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

დოქტორი მედიცინისა

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ლებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

10—4 დღ. გამ.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწვდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს" რედ



**რკინის გზის მოძრაობა.**

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 | წ |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 18 | „ |

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# სუსუნაგი.

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **სუსუნატის** წამლით პირველ ხარისხოვანი **„გონოზანით"** ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია თბილისის, რუსეთისა** და **საზღვარგარეთელ ექიმებისა** და **პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია:** თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და უბარი საშუალებაა. ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და ორი შუშის შეშხაპუნებით, რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავათმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შესაშხაპუნებელი ღირს 9 მანეთი სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ თბილისი**, თხინვალის ქუჩა № 12, მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჟაკოვის ქუჩის.

Р Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвальская ул, № 12 отд. 3

# ავი სენი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, ახამებენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)